2008 წლის 13 მაისს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში გაიმართა საჯარო დისკუსია თემაზე:

„სამოქალაქო საზოგადოების არჩევანი“

ძირითადი მომხსენებლები:

ლელა გაფრინდაშვილი, კავშირის „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ თავმჯდომარე

გიგი თევზაძე, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მოდერაცია: დათო პაიჭაძე

**დათო პაიჭაძე** – მოგესალმებით ყველას. დღევანდელ დისკუსიას ეწოდება „სამოქალაქო საზოგადოების არჩევანი“. თითქოს უთქმელად იგულისხმება, რომ ლაპარაკია სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ არჩევანზე. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავაფართოვოთ კიდეც ეს თემა, ან კონკრეტული მნიშვნელობა მივანიჭოთ სიტყვას „არჩევანი“.

სამოქალაქო საზოგადოება როგორ არჩევანს აკეთებდა პოლიტიკაში, ამას არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებისთვის ჰქონდა მნიშვნელობა, არამედ საქართველოს ბოლო წლების ისტორიისთვის. მე სამოქალაქო საზოგადოების საზოგადო ასპარეზზე გამოჩენის პერიოდს ვგულისხმობ. მნიშვნელობა ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ ის თავისი არჩევანით კვალს ატყობდა ქვეყნის ისტორიას, რაც, ალბათ, ყველაზე თვალსაჩინოდ რამდენიმე წლის წინანდელ მოვლენებში გამოჩნდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ საკითხზე დისკუსიას აუდიტორიას არჩევნების წინ ვთავაზობთ, რადგან ამ 4-5 წლის წინაც ეს საკითხი სწორედ არჩევნების წინ იყო აქტუალური. გუშინ ბ-ნმა გიგიმ ჩემთან გადაცემაში საუბრისას არჩევნების წინ სამოქალაქო საზოგადოების საპროტესტო მოძრაობა პოლიტიკური კლასის საპროტესტო მოძრაობისაგან გამიჯნა. მაშინ, 2003 წელს ეს საპროტესტო პათოსი, ნეგატიური პათოსი, რაც ჰქონდა სამოქალაქო საზოგადოებას, ალბათ ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა პოლიტიკური ელიტის, ხელისუფლების შესაცვლელად. ცხადია, დღევანდელი დისკუსიის დროს გვერდს ვერ ავუქცევთ პოლიტიკურ ანალიზს.

ჩვენი დისკუსიის ძირითადი მომხსენებლები დღეს არიან ლელა გაფრინდაშვილი, კავშირის - „ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის“ თავმჯდომარე და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე.

ქ-ნ ლელას ვაძლევ სიტყვას.

**ლელა გაფრინდაშვილი** – დათომ სწორი აქცენტები დასვა. როდესაც არჩევნების წინ სამოქალაქო საზოგადოების არჩევანზე ვსაუბრობთ, გვინდა თუ არა, პოლიტიკურ არჩევანზე მახვილდება ჩვენი ყურადღება; თუმცა მე მხოლოდ ამ ასპექტში არ ვისაუბრებდი, ვინაიდან სამოქალაქო საზოგადოების, როგორც მთელის, დახასიათება, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მივიდეთ სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკურ არჩევანამდე. აპრილის მეორე ნახევრიდან ძალიან ბევრი ადამიანი მომმართავდა შეკითხვით, ხომ არ შევედი „ლეიბორისტულ პარტიაში". იცით, რომ „ლეიბორისტულ პარტიაში" არის *ლეილა* გაფრინდაშვილი. ისინი, ვინც მირეკავდნენ, სწორედ სამოქალაქო სექტორს წარმოადგენენ; ანუ, არიან ადამიანები, რომლებიც მიცნობენ, როგორც სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელს. მათი შეკითხვის მთავარი პათოსი ჩემი პოლიტიკურ პარტიაში შესვლა არ ყოფილა. მათ გაკვირვებას ჩემი „ლეიბორისტულ პარტიაში" სავარაუდო შესვლა იწვევდა. მათ არ გააკვირვებდათ ჩემი სამოქალაქო სექტორიდან პოლიტიკაში გადასვლა. ეს ლოგიკა, ჩემი აზრით, ძალიან ნიშანდობლივია ქართული სამოქალაქო საზოგადოებისათვის, რადგანაც სამოქალაქო საზოგადოებაში მოღვაწე ადამიანების ძალიან დიდი უმრავლესობა პოლიტიკაში გადავიდა. საქართველოში ამას თავისი საფუძველი აქვს.

დავიწყოთ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 1992 წლიდან იწყება საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა. ამ ორგანიზაციების შექმნიდან დღემდე სამ პერიოდს გამოვყოფდი. პირველი – 1992 წლიდან 1998 წლამდე. ამ დროს საქართველოში დაახლოებით 1500-მდე არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა. მეორე პერიოდი – 1998 წლიდან 2000 წლამდე. სამ წელიწადში 1500 ორგანიზაცია დაფუძნდა. და მესამე პერიოდი – 2003 წლიდან დღემდე – 6000 ორგანიზაცია დარეგისტრირდა. ბუნებრივია, ვერ ვიტყვით, რომ ცხრა ათასივე ორგანიზაცია აქტიური და მოქმედია და ამინდს ქმნის ჩვენს საზოგადოებაში, მაგრამ ამ რეგისტრირებული ორგანიზაციებიდან 10-15% ნამდვილად მოქმედია და ავად თუ კარგად გავლენას ახდენს თავის ინტერესთა ჯგუფზე ან ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე. მაგრამ ამ ორგანიზაციების არა იმდენად თვისობრივი დახასიათებაა საინტერესო, რამდენადაც მათი დაარსების დინამიკა. აქვე შემიძლია გითხრათ, რომ პირველ ექვს წელიწადში შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები პირველწყაროდ იქცა შემდეგ წლებში შექმნილი ორგანიზაციებისათვის. ანუ, შემდეგი 7500 ორგანიზაცია პირველ ეტაპზე შექმნილი 1500-დან გამომდინარეობს. ეს ორგანიზაციები დააფუძნეს ადამიანებმა, რომლებიც გამოეყვნენ იმ პირველ ორგანიზაციებს და შექმნეს დამოუკიდებელი ორგანიზაციები.

თვისობრივი დახასიათებაც საინტერესოა. არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობის ლიდერს საქართველოში პრეზიდენტი ეწოდება. თუ ორგანიზაციას ორი ლიდერი ჰყავს, ერთს პრეზიდენტი ეწოდება, მეორეს – ვიცე-პრეზიდენტი. კანონმდებლობა ამას არ კრძალავს. ეს, არა მგონია, შემთხვევითი მახასიათებელი იყოს. იმ დინამიკაზე, რომელზეც გესაუბრეთ, პრეზიდენტ-ვიცე-პრეზიდენტის ურთიერთობა ნამდვილად ახდენს გავლენას. ამ ისტორიაში საინტერესოა შემდეგი გარემოებაც – 1999-2000 წლებიდან ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სივრცეში იწყება კოლაბორაციის ბუნებრივი და ჯანსაღი ტენდენცია. სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის წარმომადგენლებს შორის გაერთიანების ტენდენცია ჩნდება და იქმნება კოალიციები, არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანებები. ვინ არის ამ კოლაბორაციული გაერთიანებების შექმნის ინიციატორი? 1999-2000 წლებში მათი ინიციატორები ძირითადად თავად არასათავრობო ორგანიზაციები არიან, თუმცა ანალოგიური სურვილი აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. თუ თავდაპირველად გაერთიანების შესახებ არასამთავრობოების სურვილი მთავარ როლს თამაშობდა, მოგვიანებით იგი

დაითრგუნა იმ მეორე ტენდენციით, რომელიც უკვე გარედან იყო შემოსული. შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების ბუნებრივი განვითარება შეფერხდა გარედან შემოსული ინიციატივებით. მე თავისუფლების დაცვის სფეროში ვმუშაობ და ამ საკითხზე ორიენტირებული "ენჯეოების" გამოცდილება ვიცი, მაგრამ ასევე კარგად ვიცი სხვა ინტერესთა ჯგუფებში განვითარებული ტენდენციები.

ახლა მინდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ტიპზე ვისაუბრო. ამ ორგანიზაციების უმრავლესობა ორიენტირებულია ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებსა და უფლებებზე. რაც შეეხება ფუნდამენტურ უფლებებს, სოციალურ და კულტურულ უფლებებს და საკითხებს, ასეთ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები, შეიძლება ითქვას, რომ უმცირესობას წარმოადგენენ და ამ პოლიტიკურ პროცესებთან არაასოცირებულობის გამო გარკვეული აზრით, მარგინალიზებულნიც არიან არასამთავრობო სექტორში.

ასევე საინტერესოა ამ პრობლემის გენდერული ანალიზი. პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობას ლიდერობენ მამაკაცები, ხოლო ფუნდამენტურ და სოციალურ და კულტურულ უფლებებზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს – ქალები. მთლიანობაში, ორგანიზაციების ხელმძღვანელთა 25%-ს ქალები წარმოადგენენ, 75%-ს მამაკაცები.

არ შეიძლება არ ვისაუბროთ არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ფენომენი, რომელზეც ძალიან ცოტას ლაპარაკობენ თვითონ არასამთავრობო სექტორშიც, როგორიც არის გონგო-ორგანიზაციები, ეს არის მთავრობაზე ორიენტირებული ორგანიზაციები. მათ ჩამოყალიბებასაც საქართველოში ხელი შეუწყო პირველმა ფონდებმა, რომლებიც შეიქმნა ქვეყანაში. ანუ, გაეროს პროექტების უმრავლესობა ორიენტირებული იყო ისეთ იდეებზე, რომლებსაც არასამთავრობო სექტორი გააკეთებდა სამთავრობო სექტორთან კოლაბორაციისა და თანამშრომლობის გზით. ამან გააჩინა ის ტენდენცია და ჩამოაყალიბა სტერეოტიპი, რომ არასამთავრობო სექტორი უნდა თანამშრომლობდეს, ერთობლივ პროექტებს უნდა ახორციელებდეს მთავრობასთან ერთად; რამაც, ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული დაღი დაასვა არასამთავრობო სექტორში ისედაც გაბატონებულ მიმდინარეობას, რომ ან მთავრობასთან კორელაციაში უნდა განეხორციელებინათ რაღაც პროექტები და შეესხათ ხორცი იდეებისთვის, ან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ირიბად მაინც ეჭირათ თვალი პოლიტიკაში მოხვედრაზე; ანუ რაღაც პოლიტიკურ პარტიაში ინტეგრაციაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ამ სტრატეგიამ გააძლიერა ისედაც არსებული ტენდენცია საქართველოში.

დაფინანსების თვალსაზრისით აუცილებლად უნდა გაკეთდეს აქცენტი შემდეგ გარემოებაზე – სწორედ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები ლობირებდნენ არასამთავრობო სექტორის კოლაბორაციულ პროექტებს მთავრობასთან, ჩამოაყალიბა ე.წ. ენჯეო-არისტოკრატია. საქართველოში ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც არისტოკრატია იყო არა იმიტომ, რომ თავიანთი უნარებით გახდნენ ასეთები, არამედ, იმიტომ რომ დაფინანსების ძირითადი წყაროები სწორედ მათი მიმართულებით მიედინებოდა. ამის შედეგად მოხდა მარგინალიზება იმ ჯგუფებისა და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებმაც ამ კონკურენციას ვერ გაუძლეს. მათ თავიანთი იდეების რეალიზაციისთვის არ ჰქონდათ ფინანსები, თუმცა იყვნენ და არიან ადამიანებიც, რომლებიც დღემდე ენთუზიაზმით მუშაობენ. მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია მათი იდეები, რომ არ შეუძლიათ სხვა სექტორში ან პოლიტიკურ პარტიებში გადასვლა, რაც დიდი წარმატებით მოახერხეს ენჯეო-ელიტის წარმომადგენლებმა.

დგება კითხვა, რა ემართება ამ პროცესში იმ მნიშვნელოვან ღირებულებებს, რომლებიც უნდა მუშაობდნენ ენჯეო-სექტორში და ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებას, როგორიც არის დემოკრატია და მონაწილეობითი დემოკრატია;

იმიტომ, რომ ბუნებრივია, თუ ადამიანი იჩენს სამოქალაქო ინიციატივას, ქმნის ჯგუფს, პოულობს თანამოაზრეებს - მას უნდა მონაწილეობის მიღება სამოქალაქო პროცესებში; მაგრამ მისი მონაწილეობა ყოველივე იმის გამო, რაზეც ვისაუბრე, ან შესუსტებულია ან საერთოდ იგნორირებულია ის წვლილი, რომელიც მათ უნდა შეიტანონ დემოკრატიზაციის პროცესში საქართველოში. ამის მაგალითი ძალიან ბევრია და მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ.

მივედი იმ დასკვნამდე, რომ იმის საჩვენებლად, თუ რა დაემართება დემოკრატიას საქართველოში, მხატვრული ეპითეტი უნდა მომეძებნა. მინდა შემოგთავაზოთ XIX-XX საუკუნეში მოღვაწე დრამატურგი ქალის, ***ნატალია აზიანის*** წერილი, რომელიც დაწერილია 1919 წელს, როდესაც უკვე აღარ არსებობდა ბურჟუაზია და ბოლშევიზმის სახით ახალი ძალა ჩნდებოდა. ამ წერილს ჰქვია „ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან"[1]. აზიანის გულისტკივილს იწვევს ის, რომ როგორც რუსეთის თვითმპყრობელობის, ისე ბურჟუაზიის წარმომადგენლები დემოკრატიის სახელით ლაპარაკობენ და მან გადაწყვიტა თავად შეხვედროდა დემოკრატიას და ეკითხა მისთვის იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. მისივე თქმით, რადგან ეს ქალბატონი ორჯერ იყო გათხოვილი, ჯერ თვითმპყრობელზე, შემდეგ კი მენშევიკზე, ეგონა, რომ აპარტამენტებში მდიდრულად იცხოვრებდა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მიწურში ცხოვრობს და ეკითხება, რატომ აღმოჩნდა იგი ასეთ დღეში. დემოკრატია კი პასუხობს – „მაშ, არ იცოდი, რომ მეორე ქმარიც მღალატობს, მზითევის გულისთვის ჯვარი დაიწერა ჩემზე და მერე ახლოს აღარ გამკარებია, ეგეც ბურჟუაზიას ეარშიყება." „მაშ, რაც მე ჩამომართვეს, რაც მე დამაკლეს, შენთან არ მოუტანიათ, შენთვის არ გაუნაწილებიათ? "– ეკითხება ნატალია. „შენც არ მომიკვდე, რომ თვალითაც არ მინახავს. ეგ არაფერი, უბედურება

---

[1] ნატალია აზიანის (1978-1943) 1919 წელს დაწერილი **წერილი "ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან:**

"ისე გამიწყალეს გული, ისე მომაბეზრეს თავი წამდა-უწუმ ყვირილ-ღრიანცელით: დემოკრატიამ ასე ბრძანაო", "დემოკრატიამ ასე ინებაო", "დემოკრატიის ნება-სურვილი ასეთი გახლავსო". ეტადრე "ერთობამ" და "ბრძოლამ" ხომ პირდაპირ ყურები გამომიჭედეს!

მეც ავდექ და გადავწყვიტე: წავალ, პირდაპირ ვენახვები (მით უმეტეს, რომ ცოტაოდენ ვიცნობდი მას 1905 წლიდან) და ვკითხავ – დაო, ისეთი რა დამისავებია შენთვის, რომ ასე მიმწარებ დღეებს და ასეთ გაჭირვებას მაყენებ-მეთქი?! **ისე დილა არ გათენდება, რომ შენმა მრისხანე ბრძანებებმა ფანჯარას არ დააბრახუნონ და გული არ გადმომიბრუნონ. შენი სახელით სოფლიდან ბრაგანი მიკრეს, თბილისში სახლი ჩამომართვეს, ნაქირავებ ოთახებში ვიღაც ხეპრე, ხამი კომისარი ჩამისახლეს , გაზეთი, სადაც დარდიან გულს ვიოხებდი-ხოლმე, დამიხურეს. ახლა ესეც არ მაკმარეს და ამ ცივ ზამთარში შეშის საჭრელად ტყეში მგზავნიან, თუმცა იცის ღმერთმა, ჩემს გაჩენაში ცული არ ამიღია ხელში და უგუნურობის ტყეს მხოლოდ კალმითა ვჩეხდი მეთქი!....."**

მაგრამ , ჰოი, საოცრებავ! ნატალიამ ნახა, რომ ეს ქალბატონი საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობს და არა ნეტარებასა და განცხრომაში.

**"... მე კი განვაგრძობდი შეუბრალებლათ... რათ დგეხარ შენ ამ ნესტიან, ბნელ სარდაფში, როცა იქ , ქალაქის საუკეთესო ნაწილში , შენი კანონიერი, ჯვარდაწერილი პატრონები, კომისარ-მინისტრები რვა-რვა ოთახში არიან გამოჭიმულნი?! გაიხედე, შენი თვალით მაინც
დაათვალიერე, რა ზეიმით დაბრძანდებიან სამსახურში ავტომობილ-ეკიპაჟებით და ბრუნდებიან იქიდან სამ-ოთხ საათზე.....**

**... მაშ არ იცოდი, რომ მეორე ქმარიც მღალატობს? მზითვის გულისთვის ჯვარი დაიწერა ჩემზე და ახლოს აღარ გამკარებია... ეგეც ბურჟუაზიას ეარშიყება....**

**- მაშ, რაც მე ჩამომართვეს, რაც მე დამაკლეს , შენთან არ მოუტანიათ, შენ კი არ გაგინაწილეს?!**

**- შენ არ მომოკვდე, რომ თვალითაც არ მინახავს!.... ეგ არაფერი, უბედურება ის არის, რომ მესამეთ მიპირებენ გათხოვებას. რა ვიცი , ვიღაც ბოლშევიკი გამოჩენილა, ეხლა ის მეარშიყება, დიდ ბედნიერებას მპირდება, მაგრამ რა ვქნა, როგორ გავბედო?...**

**- აღარ გათხოვდე, შე უბედურო, იკმარე მაგდენი ქმრები! – შევბედე მე სიბრალულით და ნაღვლიანი დავბრუნდი სახლში.**

ის არის, რომ მესამედ მიპირებენ გათხოვებას, რა ვიცი, ვიღაც ბოლშევიკი გამოჩენილა, ახლა ის მეარშიყება, მაგრამ რა ვქნა, როგორ გავბედო.“ „აღარ გათხოვდე, შე უბედურო, იკმარე ამდენი ქმრები, შევბედე მე სიბრალულით და ნაღვლიანად დავბრუნდი სახლში“ — ასე მთავრდება წერილი. ჩემი პროგნოზიც ასეთია დემოკრატიასთან დაკავშირებით საქართველოში, თუ რა თქმა უნდა, არ გამოჩნდნენ ახალი ძალები.

**დათო პაიჭაძე** — დიდი მადლობა, ლელა. ჯერ ბ-ნ გიგის მოვუსმინოთ, შემდეგ დავსვათ შეკითხვები.

**გიგი თევზაძე** — როდესაც დღევანდელი დისკუსიის სათაურს, „სამოქალაქო საზოგადოების არჩევანი“, გავეცანი, ვიფიქრე, რომ კლასიკურად გაგებულ სამოქალაქო საზოგადოებაზე უნდა მესაუბრა; იმიტომ, რომ რა ხდება ენჯეო-საზოგადოებაში შიგნით, როგორ ვითარდება ერთი კონკრეტული ჯგუფი და რას აკეთებს იგი, ეს საინტერესოა სოციალური მეცნიერების თვალსაზრისით; მაგრამ ნაკლებად საინტერესო მეჩვენება მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებასთან მიმართებაში და რატომ: დაახლოებით 90-იანი წლების ბოლო იყო; გია ნოდიასთან ერთად რომელიღაც ფონდისთვის რაღაც თემაზე ვმუშაობდი და მოგვივიდა კამათი იმაზე, სამოქალაქო საზოგადოება არის მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები თუ მთლიანად საზოგადოება, გამოკლებული სახელმწიფო აპარატი. მაშინ ვეკამათებოდი, მაგრამ ახლა მიმაჩნია, რომ გია ნოდია, რომელიც ამ უკანასკნელ მოსაზრებას უჭერდა მხარს, მართალი იყო. მან ასევე თქვა, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ განვითარება დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ეს მართლაც ასე იყო. თვითონ არასამთავრობო საზოგადოება პირდაპირ კავშირში დემოკრატიასთან არ არის. თავისთავად, სამოქალაქო საზოგადოების ისტორია ყველამ ვიცით, მას დიდი ისტორია აქვს და ქალაქ-სახელმწიფოებში იწყება. სამოქალაქო საზოგადოების იდეა არის თანხმობა საზოგადოების წევრებისა ერთმანეთთან. არ არის აუცილებელი სამოქალაქო საზოგადოება დამყარებული იყოს მაინცდამაინც დემოკრატიულ იდეებზე. მოგეხსენებათ, კანტმა თქვა, რომ სამოქალაქო საზოგადოება შესაძლოა, ეშმაკებს შორისაც არსებობდეს, იმიტომ რომ თანხმობა მათ შორისაც შეიძლება იყოს.

მე არ მგონია, რომ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები არიან დღეს სამოქალაქო საზოგადოება. იგი ასევე შედგება ლობისტური ჯგუფებისგან, პოლიტიკური პარტიებისგანაც კი, ვიდრე ისინი გახდებიან სახელმწიფოს ნაწილი. სამოქალაქო საზოგადოება გახდა განათლების სისტემაც. ეს 21-ე საუკუნის შედეგია, როდესაც განათლების სისტემაში მყოფი ხალხი თავს სამოქალაქო საზოგადოებად აღიქვამს და არა სახელმწიფოს ნაწილად.

რა არჩევანის წინაშე დგას დღეს სამოქალაქო საზოგადოება. ლელას მოყვანილ მაგალითს დავეყრდნობი. თავისთავად, ის განწყობა, ნაცნობი რომ გეკითხება, „ლეიბორისტულ პარტიაში“ ხომ არ გაწევრიანდი, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში დაშვებულია - ისეთი ღირებულებების ადამიანი, როგორიც ლელაა, უცებ „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი გახდეს. სწორედ ეს არის არჩევანის პრობლემა, რომლის წინაშეც დღეს დგას სამოქალაქო საზოგადოება — იყოს უსაფრთხო ურთიერთობაში პოლიტიკასთან, ისეთ მდგომარეობაში, როცა შედეგს ვერავინ მიიღებს. მე მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საზოგადოების სიმამაცე 2003 წელს არასწორად არის გაგებული. ის, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ პრინციპული პოზიცია დაიკავა, ამან დიდი შედეგი გამოიღო.

ლობისტური ორგანიზაცია, ვიდრე ის გახდება პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი, არის სამოქალაქო საზოგადოების წევრი. მე მიმაჩნია, რომ არჩევანი, რომლის წინაშეც დღეს ვდგავართ, იმაში გამოიხატება, რომ ვიყოთ უფრო

გაბედულები, დავდგეთ უფრო მეტი საფრთხის წინაშე, უფრო მკვეთრი კრიტიკული პოზიცია დავიკავოთ. კრიტიკული პოზიცია იქნება სწორედ ის, რომ საზოგადოებას ლელასთვის ასეთ კითხვას აღარ დაასმევინებს.

დღეს ვდგავართ ასეთი არჩევანის წინაშე – სამოქალაქო საზოგადოება ღირებულებითი თვალსაზრისით ნეიტრალური იყოს, ან საერთოდ არ ჰქონდეს ღირებულებები, ჰქონდეს რეაქცია მხოლოდ მკვეთრ დარღვევებზე. არის ასეთი არჩევანი – სამოქალაქო საზოგადოება იყოს ნეიტრალური ან გადავდგათ სახიფათო, მაგრამ პროდუქტიული ნაბიჯი, დავიწყოთ შეფასებების გაკეთება და პოზიციის გამოხატვა.

**დათო პაიჭაძე** – ბ-ნმა გიგიმ დასვა საკითხი, შემოიფარგლება თუ არა სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებით და მის მიღმა საზოგადოება არის თუ არა სამოქალაქო საზოგადოება და როგორია საზოგადოების არჩევანი. ქ-ნმა ლელამაც მკაფიოდ და გასაგებად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება. დისკუსიას გახსნილად ვაცხადებ.

**ლიკა ნადარაია, საქართველოს პარლამენტის გენდერული კომისია** – მე მსურს ლელას მოხსენებას დავუბრუნდე. რა როლი ითამაშა უცხოურმა კაპიტალმა, კონკრეტულად, საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიამ იმ რეალობის შექმნაში, რომელსაც ჰქვია ენჯეო-სექტორი. სამოქალაქო საზოგადოების ფართო გაგება ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ დემოკრატიული ცვლილებების ლოკომოტივები მაინც არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ. ჩვენ ამ პროცესის კარგი კვლევა გვმართებს. რა იყო პოზიტიური გარედან შემოსულ დაფინანსებაში, რა პრობლემები წარმოშვა მან დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოებრიობის ფორმირება-განვითარებისთვის და როგორ უნდა მოევლოს ამ პრობლემებს. მე ვისურვებდი, აქ მყოფი საზოგადოება გავერთიანდეთ და მივხედოთ ამ საქმეს.

**დათო პაიჭაძე** – არსებობს სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის კვლევის წლიური ანგარიშები.

**გიგი თევზაძე** – რასაკვირველია, არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოში სტრუქტურულ ცვლილებებში დიდი წვლილი შეიტანეს, მაგრამ ამ წვლილის ძალიან გადაჭარბება, მგონი, ზედმეტი იქნება. თუკი გაიხსენებთ ისტორიას, და ყველანი ამ ისტორიის მონაწილეები ვართ, არასამთავრობო ორგანიზაციების პირველი გამოსვლა სცენაზე ზურაბ ჟვანიას შეგნებულ პოლიტიკურ ნაბიჯში გამოიხატა. მისი მხრიდან ეს იყო მცდელობა, მოენახა საპირწონე ნომენკლატურისათვის, რომელიც იმ დროს იყო „მოქალაქეთა კავშირში". იგი, შეიძლება ითქვას, ორად იყო გაყოფილი: იყო ზურაბ ჟვანიას ჯგუფი და ნომენკლატურული ჯგუფი. ენჯეო-სექტორს რაც არ უნდა გაეკეთებინა, რომ არა თავად პოლიტიკურ ისტებლიშმენტში წარმოქმნილი დაძაბულობა, არ ვიცი, ისტორია როგორ განვითარდებოდა; მაგრამ ისიც უცნობია, როგორი განვითარება ექნებოდა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას პოლიტიკაში, ზურაბ ჟვანია რომ არ ყოფილიყო. მან ეს სექტორი პოლიტიკურ ძალად გამოიყენა, რამაც ბევრი კარგი შედეგი მოიტანა. ეს ყველაფერი პოლიტიკური ისტებლიშმენტის განვითარების შედეგია და არა უცხოური დაფინანსების.

სამოქალაქო საზოგადოება, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთმანეთთან კავშირის გარეშე არ ვითარდებიან. სხვა ამბავია, რომ ჩვენ, საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული, მოგვდევს ასეთი ფორმულები, რომ ცუდია სახელმწიფოსთან კავშირი და რომ შეიძლება საზოგადოების დამოუკიდებლად

განვითარება. მაგრამ როდესაც არასამთავრობო სექტორის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოში ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის პოლიტიკოსების მონაწილეობის გარეშე, თან იმ პოლიტიკოსების, რომლებსაც იმ პერიოდში ჰქონდათ ძალაუფლება.

**ლელა გაფრინდაშვილი** – ეს მაინც ისეთ ორგანიზაციებს ეხებოდა, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამოქალაქო საკითხებზე; მაგრამ ისეთებზე, როგორიცაა სოციალური, კულტურული და ფუნდამენტური უფლებები, თითქოს არ ვრცელდებოდა. პოლიტიკოსები თითქოს არ ყოფილან დაინტერესებულნი, ამ სფეროშიც ჩაედოთ თავიანთი გავლენა, ეს არამომგებიანი იყო. მაგრამ რაც შეეხება სამოქალაქო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, ამ მიმართულებით მხარდაჭერა მართლაც დიდი იყო.

***ირაკლი მაჭარაშვილი*** – გიგიმ თქვა, რომ პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში გარემოსდაცვითი ორგანიზაციები იყო და ყველაზე მეტად სწორედ ისინი დააზარალა პოლიტიკამ. როდესაც დაიწყო ეროვნული მოძრაობა, მისი ერთ-ერთი მამოძრავებელი იყო ეკოლოგიური მოძრაობა ხუდონჰესის წინააღმდეგ, ტრანსკავკასიის მაგისტრალის წინააღმდეგ და ა.შ. როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, შემუშავდა აზრი, რომ ახალი ხელისუფლება უკვე ჩვენები იყვნენ და გარემოს აღარაფერს დაუშავებდნენ. გარემოსდაცვითი მოძრაობაც შენელდა. თავად გარემოსდაცვითი ორგანიზაციებიც შესუსტდა, იმიტომ რომ იქ მომუშავე ადამიანების დიდი ნაწილი პოლიტიკაში გადავიდა. გაგახსენებთ, „მოქალაქეთა კავშირი“, ისევე, როგორც „მწვანეთა პარტია“, „მწვანეთა მოძრაობის“ ბაზაზე წარმოიშვა, რამაც თავად ეს ორგანიზაცია დაასუსტა.

**დათო პაიჭაძე** – ლელას მინდა კითხვით მივმართო. თქვენ ბრძანეთ, რომ წახალისებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მთავრობასთან არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობა. თუმცა, თუ გავიხსენებთ 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან „ვარდების რევოლუციამდე“ უფლებადაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას, არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი თანამშრომლობდნენ ხელისუფლებასთან; პირიქით, მათი აქტივობა მიმართული იყო მხოლოდ ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი დისკრედიტაციისათვის და ვერ ვიტყვით, რომ ისინი არ ფინანსდებოდნენ. „ვარდების რევოლუციის“ წინ ერთ-ერთმა უფლებადაცვითმა ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა დაცვის პროექტის განსახორციელებლად ნახევარი მილიონი ევრო მიიღო. საქმე ეხება „ყოფილ პოლიტპატიმრებს ადამიანის უფლებებისთვის“.

**ლელა გაფრინდაშვილი** – ამაზე გიგიმაც ისაუბრა და მეც ვეთანხმები მას, რომ პრინციპში, ამ ტიპის ორგანიზაციებს, მაინც პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, იგივე, ფონდებშიც, ჰყავდათ ლობისტები. პოლიტიკური ლობიზმი ასრულებდა გადამჭრელ როლს იმისათვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს რაღაც სივრცე მოეპოვებინათ.

**ვასილ კობახიძე, „კავკასიური სახლი“** – მე მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს სიტყვა „სამოქალაქო“ ესმის როგორც არასამხედრო და მეტი არაფერი. ისიც გაუგებარია, რა განსხვავებაა მოქალაქესა და ქვეშევრდომს შორის; იმიტომ, რომ როგორიც არ უნდა იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები, თუ მის შიგნით იქნებიან ქვეშევრდომები და არა მოქალაქეები, ღირებულებები ვერ შეიცვლება. როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ესპანეთში

სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ ფრანკოს მმართველობის პერიოდში შეიქმნა კათოლიკური ეკლესიის შიგნით. და ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი პოლიტიკურად ანგაჟირებულია, ღირებულებების უანგაროდ დაცვაზე კი არ მიუთითებს, არამედ პოლიტიკურ თამაშსა და პოლიტიკურ სტატუსზე. შესაბამისად, ადამიანები უკან იხევენ. საინტერესოა, უნივერსიტეტების როლი როგორია ამ თვალსაზრისით დღეს ევროპასა და საქართველოში.

**გიგი თევზაძე** – ახლა ძალიან მცირეა ეს როლი. განათლების სისტემაში ჩართულმა ხალხმა, ადამიანებმა, რომლებიც აქტიურად წარმოადგენდნენ ამ სისტემას, მხოლოდ ცოტა ხნის წინ დაიწყეს გამოსვლა სახელმწიფო მოხელის გარემოდან. მასწავლებლები, უნივერსიტეტები არის სახელმწიფოს ნაწილი და ფაქტიურად, ის პრიმიტიული დაპირისპირება საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის, გარკვეული აზრით, უნივერსიტეტებში გადაიტანებოდა, როცა იყო დაპირისპირება სტუდენტებსა და პროფესორებს შორის. თვითონ სამოქალაქო საზოგადოების ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტებს დიდი როლი აკისრიათ. თუ უნივერსიტეტი იზღუდება, მაშინ ჩნდება სხვა ადგილები. საქართველოში ეს სხვა ადგილები არ შექმნილა. ესპანეთში, საქართველოსგან განსხვავებით, იყო ასეთი ტრადიცია. საქართველოში ჩვენს მახსოვრობაში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. მას შემდეგ, რაც თავად სახელმწიფო ცდილობს, გამოდევნოს სკოლები და უნივერსიტეტები თავისი გავლენის სფეროდან, შესაძლოა, უკვე აქ შეიქმნას ეს ადგილი. მაგრამ ჯერჯერობით უნივერსიტეტები და სკოლები არ ყოფილა ღირებულებათა გავრცელების ადგილები, თუმცა ეს შეიძლება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა იყოს სამოქალაქო საზოგადოების საზოგადოებად აღქმისათვის.

**ირაკლი ვაჭარაძე, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი** – მოგეხსენებათ, ჩვენი დღევანდელი დებატების თემაა „სამოქალაქო საზოგადოების არჩევანი“. თითქოს ავტომატურად იგულისხმება, რომ რაღაც მოცემულობაზეა საუბარი, რომელიც აკეთებს არჩევანს; მაგრამ მაკვირვებს, რომ ასეთი შეკითხვა ჯერ არ დაისვა – შედგა თუ არა სამოქალაქო საზოგადოება? რა ფენომენზე ვსაუბრობთ ჩვენს კონკრეტულ რეალობაში? გასათვალისწინებელია, რომ ჯერ არ ყოფილა თაობათა ცვლა იმ ფენომენში, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოებას ვუწოდებთ. იყო მხოლოდ ჰორიზონტალური გადაადგილება. რამდენად შედგა კლასიკური გაგებით სამოქალაქო საზოგადოება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ?

**ლელა გაფრინდაშვილი** – როდესაც სამოქალაქო საზოგადოების არჩევანზე ვსაუბრობთ, ბუნებრივად ისმება კითხვა, სად არის ეს საზოგადოება დღეს. რას ვუწოდებთ ჩვენს სამოქალაქო საზოგადოებას. თუ დავაკვირდებით ბოლო წლების პროცესებს ზედაპირულადაც კი, სამოქალაქო საზოგადოება როგორც დემოკრატიზაციის პროცესის ლოკომოტივი, სად ჩნდება ქართულ სინამდვილეში: ჩნდება პოლიტიკური პროტესტის ერთ-ერთ კომპონენტად. ჩვენ არ გვაქვს არც ერთი პრეცედენტი საქართველოში, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება თავის პროტესტში არის ავტონომიური. ჩვენ ორი პოლიტიკური კონფლიქტი გვაქვს საქართველოში – ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური. უამრავჯერ შეიქმნა დაძაბული სიტუაცია საომარი მოქმედებების განახლებასთან დაკავშირებით, შეიძლება მე ვერ დავაკვირდი და თქვენ გახსოვთ ასეთი პრეცედენტები. არც ერთ ამ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციას, რომლებსაც ამ თემაზე პროექტები აქვთ რეალიზებული, გრანტები აქვთ მოპოვებული, არ გამოუთქვამს პროტესტი საომარი მოქმედებების განახლების წინააღმდეგ. არც ერთი ასეთი პროტესტი მე არ მახსოვს.

ან თუნდაც ის ადამიანები გავიხსენოთ, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ. უამრავი დისკრიმინაციული გამოთქმა შეგხვდებათ მათ მიმართ პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებშიც და საგაზეთო ინტერვიუებშიც. არ მახსოვს არც ერთი საპროტესტო წერილი ამის საწინააღმდეგოდ. აღარაფერს ვამბობ ზოგადად ქსენოფობიურ ტერმინოლოგიაზე. მე მქონია ქსენოფობიის წინააღმდეგ წერილები, ამ თემაზე საჯაროდ რადიოშიც მისაუბრია, მაგრამ მე ვლაპარაკობ ძალთა გაერთიანებაზე ამ პროტესტის გამოსახატავად. არ არის სავალდებულო, რომ იგივე შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანების მიმართ დისკრიმინაციული გამოთქმების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლაში მხოლოდ ამ პრობლემაზე მომუშავე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თუ ისინი დაინტერესებულნი არიან ამ დისკურსში რაიმეს შეცვლით, დაუკავშირდებიან ერთმანეთს და მოაწყობენ პროტესტს ამის საწინააღმდეგოდ, მაგრამ მე არც ამის პრეცედენტები მახსოვს საქართველოში.

“არასამთავრობოები” საქართველოში თავის პროტესტში ავტონომიურები არ არიან. ვერც ისეთ საპროტესტო გამოსვლებს გავიხსენებ, რომლებიც არ იქნება ასოცირებული პოლიტიკურ პროტესტთან. ეს არის, ჩემი აზრით, დღეს საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მთავარი პრობლემა. იმაზე შეიძლება ბევრი ვიკამათოთ, მხოლოდ ენჯეოები ეკუთვნის სამოქალაქო საზოგადოებას თუ არა. ვთქვათ ასე, საქართველოს მოქალაქეები რას აპროტესტებენ ორგანიზებულად და ავტონომიურად და როდის არ ასოცირდება მათი პროტესტი პოლიტიკურ პროტესტთან. დარწმუნებული ვარ, თუ არ გაჩნდა ამ ტიპის პროტესტები, შემდგარ სამოქალაქო საზოგადოებაზე ვერ ვისაუბრებთ.

**დავით პაიჭაძე** – აქ ითქვა იმის შესახებ, რომ გარემოსდაცვითი პრობლემატიკის აქტუალობა შემცირებულია. არ არიან პოლიტიკური ძალები, ვისაც დღეს ეს თემა აინტერესებს. სამოქალაქო საზოგადოებაში “მწვანე სეგმენტის” პროტესტი მიბმული არ არის პოლიტიკასთან. შეგვიძლია ამის თქმა?

**ირაკლი მაჭარაშვილი** – მართალი ბრძანდებით და ძალიან კარგია, რომ არ არის მიბმული. ჩვენ რამდენჯერმე ჩავატარეთ საპროტესტო აქცია ტყეებთან დაკავშირებით. ორგანიზების დროს დიდი ძალისხმევა დამჭირდა იმისთვის, რომ არ მოსულიყვნენ პოლიტიკოსები და არ გამოეყენებინათ ეს აქცია. მაგრამ არის მეორე მხარე – შესაბამისად, თუ პოლიტიკოსები არ მოდიან, ასეთი აქციით მედია არ ინტერესდება. მიუხედავად ამისა, ასეთ საპროტესტო აქციებს მაინც აქვს თავისი შედეგები. პოლიტიკოსებს როდესაც დასჭირდებათ, მაშინ ძალიან კარგად იხსენებენ გარესმოდაცვით საკითხებს. თვალი გადავავლოთ თუნდაც წინასაარჩევნო რიტორიკას, ტყეების გაჩეხვასთან დაკავშირებულ განცხადებებს ვგულისხმობ. სხვა შემთხვევაში პოლიტიკოსები ასეთ თემებს არ ეხებიან და რატომ – პირველ რიგში იმიტომ, რომ რთული თემაა; ჯერ უნდა გაერკვეს ადამიანი იმ საკითხში, რაზეც აპირებს ლაპარაკს. ამის გაკეთება კი ყველას ეზარება და მეორეც - სენსაციების შექმნა ისეთ თემაზე, რაც მან კარგად არ იცის, ძნელია.

**გიგი თევზაძე** – სამწუხაროდ, სამოქალაქო საზოგადოებას ყოველთვის ნათელ ფერებში წარმოიდგენენ. სამოქალაქო საზოგადოება არის სივრცე, სადაც საზოგადოებას აქვს გარკვეულ ღირებულებებზე თანხმობა. საქართველოში არსებობს სამოქალაქო საზოგადოება. მოგვწონს თუ არა ეს, ის გაერთიანებულია, როგორც ესპანეთში მოხდა თავის დროზე, ეკლესიის გარშემო და ამის დასაბუთება ძალიან ადვილია. ამიტომაც, ლაპარაკი იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოება იმიტომ არ არსებობს, რომ ხალხი არ იცავს ლიბერალურ ღირებულებებს, არასწორია.

მართალია, საქართველოში არ არსებობს ლიბერალური ღირებულებების დამცველი სამოქალაქო საზოგადოება, მაგრამ არსებობს სივრცე, სადაც არის თანხმობა, საერთო იდეები, პრინციპები და მოქმედების წესები.

**ლელა გაფრინდაშვილი** – მე არ მითქვამს, რომ ლიბერალურ ღირებულებებს არ იცავს და არა აქვს თავისი სფერო. რა თქმა უნდა, აქვთ სფეროც, ოფისებიც და გავლენაც. მე ვლაპარაკობ გავლენის მოხდენის ხარისხზე, რეზისტენციის დონეზე. ბუნებრივია, სამოქალაქო საზოგადოება თუ არსებობს, ის უნდა იყოს მგრძნობიარე ქსენოფობიური და არადემოკრატიული პროცესების მიმართ.

**გიგი თევზაძე** – მინდა შევთანხმდეთ, სამოქალაქო საზოგადოება არ არის ყოველთვის კარგი. ის არ არის სამოთხე. როდესაც ვამბობთ, რომ იგი ქსენოფობიის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული, გარკვეული აზრით, ესქატოლოგიური დისკურსია. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში არის თანხმობა რაღაც საკითხებში.

**გია გოთუა** – იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო საზოგადოებაში მხოლოდ “ენჯეოებს” არ მოვიაზრებთ, ჩაითვლება თუ არა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია სამოქალაქო საზოგადოების წევრად?

**გიგი თევზაძე** – რა თქმა უნდა, ეკლესია და მისი მრევლი არის სამოქალაქო საზოგადოების წევრი. ეკლესია სათემო ორგანიზაციადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, ინტერესთა ჯგუფადაც, ლობისტურ და არასამთავრობო ორგანიზაციადაც. ვიდრე საქართველო არ გახდება თეოკრატიული სახელმწიფო, იგი არასოდეს გამოვა სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებიდან. რაც შეეხება არჩევანს, რომლის წინაშეც დღეს დგას ეკლესია - იგივეა, რაზეც ვისაუბრე მთლიანად სამოქალაქო საზოგადოების შემთხვევაში: იყოს ღირებულებითი თვალსაზრისით ნეიტრალური, მკვეთრ საკითხებზე მოახდინოს რეაგირება თუ დადგეს ცოტა უფრო სარისკო, მაგრამ საზოგადოებისთვის უფრო პროდუქტიულ პოზიციაში.

**ქეთი მეიფარიანი, სტუდენტი** – საზოგადოების აქტიურობაზე საუბრისას თქვენ თქვით, რომ შეიძლება რაღაც ისეთი იყოს, რაც უსაფრთხო იქნება, თუ აქტიურობა იქნება საზოგადოების მხრიდან. რაში გამოიხატება ეს საფრთხე?

**გიგი თევზაძე** – აქ ლაპარაკია იმაზე, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობა ინტერესთა ჯგუფების მიერ არამართებულად იყო შეფასებული, როგორც წარუმატებელი. ამბობენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება გამოვიდა, ჩაერთო პოლიტიკაში, მოახდინა გადატრიალება და ეს გადატრიალება წარუმატებელი აღმოჩნდა. საერთოდ, რა სახის საფრთხის წინაშეც დგას ნებისმიერის სახის აქტივობა და აქტიური პოზიცია, იგივე საფრთხის წინაშე დგას სამოქალაქო საზოგადოებაც.

**პაატა საბელაშვილი, ფონდი „ინკლუზივი“** – თქვენ საუბრობდით ფონდების გავლენაზე არასამთავრობო ორგანიზაციებზე. ხშირად შევხვედრივარ წინააღმდეგობას ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან, მაგრამ როგორც წესი, გვაქვს კომუნიკაციის ან გამოუცდელობის პრობლემა. ხშირად ადგილობრივ ორგანიზაციებს არ ჰყოფნით გამოცდილება იმისათვის, რომ რეალურად გაითავისონ პრობლემის მიზეზი, თუ რაზეა საჭირო ზემოქმედება სიტუაციის შესაცვლელად. ხდება პირიქით, როდესაც ფონდს ან დონორ ორგანიზაციას არა აქვს საკმარისი მგრძნობელობა ან კულტურულ

კონტექსტში არ არის კარგად გარკვეული და რომელიღაც თავისი ფუნქციონერის ან ოფიცრის მეშვეობით არბიტრალურად წარმოადგენს ბაზარზე ტენდერს. მე მგონია, რომ ეს ყველაფერი მეტნაკლები დოზით ხდება, გააჩნია როგორ გავაკეთებთ მის ანგაჟირებას.

პრობლემა ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს სამოქალაქო აქტივობის კულტურა და ელემენტარული სამეზობლო ამხანაგობების კულტურა, საიდანაც არის წარმოშობილი თანამედროვე ლიბერალისტური გაგებით სამოქალაქო საზოგადოება. ჩემთვის ბავშვობაში ამხანაგობა ბინების აშენებას უკავშირდებოდა. კიდევ ბევრი სხვა სიტყვა, რომელიც ჩვენს საზოგადოებრივ დისკურსში ჩნდებოდა, ინგლისურის სწავლასთან ერთად სხვა მნიშვნელობებს იძენდა. ჩვენ ელემენტარულად ის არ გვესმის, რომ ეზოში ნაგავი არ დავყაროთ. ყველა პრობლემას მოევლება ცალკეული ინდივიდების სამოქალაქო აქტივობის მეშვეობით.

ძალიან კარგი იქნება, თუ მედიაზე და იმ პოლიტიკურ გაერთიანებებზეც ვისაუბრებთ, რომლებიც პარტიზანულად იწყებდნენ საქმიანობას და საერთოდ არ ჰქონდათ პოლიტიკური გაერთიანების ამბიცია; იგივე ანდრიაძის შემთხვევაში, რომელმაც დისკუსიაზე არ გაგვიმხილა, აპირებდა თუ არა მონაწილეობას არჩევნებში.

**დათო პაიჭაძე** – გიგისთან მინდა ერთი საკითხის დაზუსტება. თქვენ თქვით, რომ ყველაზე დიდი ერთობა ქართულ საზოგადოებაში, სადაც არის თანხმობა, მართლმადიდებლური ეკლესიაა?

**გიგი თევზაძე** – იმის თქმა მინდა, რომ ეკლესიაში არის ღირებულებები და ქცევის წესები, რაზეც ქართულ საზოგადოებაში არსებობს თანხმობა.

**ეკა აღდგომელაშვილი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი** – თქვენ ძალიან გააფართოვეთ სამოქალაქო საზოგადოების ცნება. ასეთ შემთხვევაში, რაზე უნდა შევთანხმდეთ: ვინ ვართ ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოება თუ მრევლი, ან მოქალაქეებად როგორ უნდა აღვიქვათ თავი?

**გიგი თევზაძე** – საკითხი, თუ ვინ ვართ, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პრობლემაა დღევანდელ ფილოსოფიასა და სოციალურ მეცნიერებაში. შეიძლება ეს კითხვა სხვაგვარადაც დავსვათ – რა არის საზოგადოებაში მყოფი კონკრეტული ადამიანების იდენტობა. თანამედროვე მეცნიერები და მოაზროვნეები თანხმდებიან იმაზე, რომ ადამიანს არა მარტო არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი იდენტობა, არამედ ბევრი იდენტობის ქონა ეთიკური მოწოდებაც არის. არიან მეცნიერები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ეს არის გამოსავალი და ადამიანის ესქატოლოგიურად გადარჩენის პირობა. მაგრამ საქართველოში ადამიანები მიმართულნი არიან ერთი იდენტობისკენ. ეს არის არა სამოქალაქო საზოგადოების არარსებობის, არამედ მისი არსებობის პრობლემა.

**ლელა გაფრინდაშვილი** – მე არა მგონია, რომ პოლიიდენტური ფონი საქართველოში არ იყოს. ჩვენთან მთავარი პრობლემა ის არის, რომ იდენტობები ერთმანეთს ხელს უშლიან და გამორიცხავენ. მაგალითად, ჩემი, როგორც ეთნიკურად ქართველის იდენტობა გამორიცხავს ჩემს სამოქალაქო იდენტობას, როცა ვლაპარაკობ სხვა ეთნოსების თანასწორობაზე საქართველოში. ზოგადად ასეა. როდესაც საქართველოში ლაპარაკობენ ქართველზე, ეთნიკურად ქართველი იგულისხმება და რა საქართველოს მოქალაქე. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სხვა იდენტობების მქონე ადამიანებისთვის, ვისაც თვითიდენტიფიკაცია გაკეთებული აქვს სხვა ეთნოსთან, ეს

დისკრიმინაციაა. საქართველოში იდენტობები არ არის ურთიერთშემავსებელი და ურთიერთგანმაპირობებელი.

**გიგი თევზაძე** – ეს მხოლოდ ჩვენი პრობლემა არ არის. იდენტობებს შორის კონფლიქტურობა ერთ ადამიანში თანამედროვე მიმართულებაა. იმის თქმა, რომ სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ იქ არის, სადაც ბევრი იდენტობა იყრის თავს, არ არის გამართლებული. უბრალოდ, ჩვენი სამოქალაქო საზოგადოება ასეთია. მისთვის დამახასიათებელია იდენტობებს შორის კონფლიქტი. საქართველოში დღეს ყველაზე გავრცელებული იდენტობა მართლმადიდებლობაა. შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, ეს კარგია თუ ცუდი; მაგრამ ფაქტია, რომ სამოქალაქო საზოგადოება დღეს საქართველოში ამ იდენტობის ნიშნით არსებობს.

**ვაჟა ვარდიძე, სულხან-საბას სახელობის თეოლოგიური ინსტიტუტი** – ქართული იდენტობა დღეს წარსულისკენ არის ორიენტირებული. ჭიდილი ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებსა და ფუნდამენტალისტურ მიმართულებას შორის იმდენად ძლიერია, რომ საზოგადოება ვერ გარკვეულა, საით ეძებოს თავისი იდენტობა.

**გიგი თევზაძე** – ავტონომიურობის ნიჭი ყველაზე დამღუპველი ნიჭია. ჩვენთან ეს ნიჭი არის. ამის შესახებ ჩვენ კვლევაც ჩავატარეთ. მნიშვნელოვანი სწორედ ამ ავტონომიურობის დაძლევაა. ამისთვის კი სამოქალაქო საზოგადოებამ და პოლიტიკოსებმა ერთად უნდა იმუშაონ. სამოქალაქო საზოგადოება მეტად უნდა დაინტერესდეს თუნდაც იმით, რა წერია ისტორიის სახელმძღვანელოებში. თორემ, რა თქმა უნდა, იდენტობა კონსტრუირებადია, არაფერია თანშობილი, არ არსებობს ასეთი გენეტიკური ინფორმაცია. ინფორმაციის გადაცემა შესაძლებლობების და არა შინაარსის გადაცემას გულისხმობს.

**ვაჟა ვარდიძე, სულხან-საბას სახელობის თეოლოგიური ინსტიტუტი** – საქართველოში დღეს პრინციპულად ითვლება ღირებულებებისადმი ერთგულება. ჩემი აზრით, ერთადერთი ადგილი, რომელსაც შეუძლია იმ ფუნქციის შესრულება, რომელზეც აქ იყო საუბარი, უნივერსიტეტებია. ეკლესიამ ვერ შეძლო ამ როლის შესრულება, იმიტომ რომ ის თავის თავში ჩაიკეტა. პასუხისმგებლობა აკადემიურ სფეროზე უნდა გადავიდეს.

**დათო პაიჭაძე** – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში თქვეს, რომ მათ ცარიელ ადგილზე დააფუძნეს ახალი უნივერსიტეტი – გარედან ეს ასე ჩანს. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასე არ არის. თან თუ გადავავლებთ თვალს უმაღლესი განათლების რეფორმის პირველ ნაბიჯებს და მათ შედეგებს, კონკურსებს და მათ შედეგად მიღებულ აკადემიურ პერსონალს, ვნახავთ, რომ ფაქტობრივად იგივე პერსონალია მიღებული, რაც მანამდე იყო; უბრალოდ, გამოაკლდა რამდენიმე ადამიანი. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ადამიანები დამოგზაურობენ უნივერსიტეტიდან უნივერსიტეტში და ერთსა და იმავეს ასწავლიან, შესაძლოა, სხვადასხვა სახელით.

**ვასილ კობახიძე, „კავკასიური სახლი“** – მე მინდა დავეთანხმო ქ-ნ ლელას. თქვენ ახსენეთ დამოუკიდებელი პროტესტი, რომელიც დისტანცირებული უნდა იყოს ანგარებითი მიზნებისგან. სამოქალაქო საზოგადოება ლიბერალურ-დემოკრატიულ სივრცეშია ჩასახული და ეს პრიორიტეტული უნდ აიყოს. კოლეგიალური პროტესტიც კი არ გაისმა, როდესაც პანტომიმის თეტრს ამასწინათ პრობლემა

შეექმნა. ამ თემაზე რადიო „უცნობში“ დისკუსია გაიმართა. ბ-ნმა ამირან შალიკაშვილმა დარეკა და თქვა, რომ იგი მართლმადიდებელია და რასაც პატრიარქი უბრძანებს, იმას გააკეთებს. მან რელიგიურ-ეროვნული იდენტობიდან გამოსვლა არ ისურვა. გაგახსენებთ გერმანელი ფილოლოგის, ვიქტორ კლემპერერის ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს, რომელშიც საუბარია იმაზე, როგორ შედიოდა ნაციზმი საზოგადოებაში ტერმინების, ენის საშუალებით. კარგი იქნება, თუ ეს წიგნი ითარგმნება ქართულად.

ეკლესიის გარშემო სამოქალაქო საზოგადოების ტიპის თანხმობის გაერთიანება, რომელზეც ბ-ნი გიგი საუბრობდა, მართლაც არის; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს რელიგიური კი არა, იდეოლოგიზებული, მითოლოგიზებული აზროვნებაა. ინერგება გლობალიზაციის შიში და არასამთავრობოები ამაზე არ საუბრობენ, იმიტომ რომ საშიშია ამაზე საუბარი. ამასწინათ გამოვლინდა სწორედ აგრესია ჰომოსექსუალების მიმართ. ჩოხოსნები გამოვიდნენ და მათ ცემით დაემუქრნენ. ორგანიზაცია „21-ე საუკუნე“ გამოვიდა და თქვა, რომ მათთან არაფერი აკავშირებდა, მერე თავი იმართლა, რომ ეშინოდა, რადგან ურეკავდნენ და ემუქრებოდნენ. ამ მუქარის გაპროტესტება არც ერთ ორგანიზაციას არ უცდია. ეს აგრესია ეროვნებისა და რელიგიის სახელით მოემართება.

**პაატა საბელაშვილი, ფონდი „ინკლუზივი“** – არა მარტო პროტესტი არ მოჰყოლია, სახალხო დამცველმა თავისი ანგარიშიდანაც ამოიღო ეს თემა, იმიტომ, რომ ასე ურჩიეს. ჩემთვის გაუგებარია ეს ნაბიჯი.

**გიგი თევზაძე** – ეს არჩევანი, ვფიქრობ, გამართლებულია თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტს სხვა დარღვევებისთვის მიექცია ყურადღება. მე არ ვაპირებ მის დაცვას, უბრალოდ, ჩემთვის საინტერესოა გაგება, თუ რატომ შეიძლებოდა სოზარ სუბარს ამოეღო ასეთი დარღვევების ამსახველი ფაქტები. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ მთელი პარლამენტი გამოვიდა - როგორც მმართველი ძალა, ისე ოპოზიცია და გააპროტესტა სახალხო დამცველის ანგარიში. ასეთია საზოგადოება. სოზარ სუბარიც პოლიტიკოსია და აკეთებს პოლიტიკურ არჩევანს. ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, გავუგოთ მას და არა ქვა ვესროლოთ.

**მალხაზ სალდაძე, სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აღმასრულებლი მდივანი** – სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრების აქ წარმოდგენილი ნიმუშები ჩემთვის ცოტა დამაბნეველი აღმოჩნდა. არჩევანი იმაშიც შეიძლება მდგომარეობდეს, როგორ გავიგებთ სამოქალაქო საზოგადოების არსს. სხვადასხვა პოზიციები არსებობს და სამოქალაქო საზოგადოების არსებობაც თავისთავად გულისხმობს მათ არსებობას. ჩემთვის წარმოუდგენელია სამოქალაქო საზოგადოების აღქმა ნებისმიერ საზოგადოებად.

გავიხსენებ ჰანა არენდტის წიგნს „ეიხმანი იერუსალიმში ანუ ანგარიში ბოროტების ბანალურობის შესახებ“, რომელშიც ეიხმანზე წერს, რომ იგი ცხოვრობდა და იქცეოდა ყველა იმ წესის დაცვით, რომელიც არსებულ საზოგადოებაში ეჭვს არ იწვევდა. აქედან გამომდინარე, ის შესაძლოა, კანტისეულ იდეალურ ადამიანადაც ყოფილიყო მიჩნეული. მე არ ვკამათობ იმაზე, იყო თუ არა ეიხმანი იდეალური ადამიანი, რა თქმა უნდა, ეს ასე არ ყოფილა. გერმანული საზოგადოება იმ მოცემულ მომენტში მოითხოვდა, რომ ებრაელები, ისევე, როგორც ჰომოსექსუალები, ნარკომანები და ბოშები, არ უნდა ყოფილიყვნენ საზოგადოების წევრები. მესამე რაიხში არ უნდა ყოფილიყვნენ უმცირესობები, რომლებიც არ ჯდებოდნენ იმ წარმოდგენაში, რასაც, ვთქვათ, იდენტობით განსაზღვრული უმრავლესობა წარმოადგენდა. ეს კაცი აკეთებდა იმას, რასაც მისგან საზოგადოება

ითხოვდა. კანტისეული იდეალური ადამიანი გულისხმობს იმას, რომ იყო თანხმობაში ერთობასთან და არ არღვევდე იმ წესებს, რასაც ერთობა შენგან ითხოვს. მაგრამ იქვე ვკითხულობთ იმის შესახებაც, რომ კანტი იმაზეც საუბრობს, რომ უნდა გვქონდეს მორალური კანონმდებლობა.

**ლელა გაფრინდაშვილი** – ზნეობის ფუნდამენტი არის პასუხისმგებლობა.

**მალხაზ სალდაძე** – გეთანხმებით, მაგრამ ინდივიდუალური მორალური, ზნეობრივი კანონმდებლობა არის ასევე ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც იდეალურ ადამიანს განსაზღვრავს. ეს ადამიანი სწორედ ამას უსვამს ხაზს. იქიდან გამომდინარე, რამდენად არ შეუშალა ადამიანს ხელი სინდისმა, წასულიყო იმის წინააღმდეგ, რაც ხდებოდა გერმანიაში, იგი დამნაშავედ ითვლება. კიდევ ერთი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ ნებისმიერი საზოგადოება არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საზოგადოებად, არის ლინჩის წესით გასამართლება. ეს არის თემის შეთანხმებული გადაწყვეტილება, ერთობიდან წამოსული თანხმობა.

ჩემთვის რთული წარმოსადგენია, დღევანდელ საქართველოში სამოქალაქო გაგების ფარგლებში იყოს ახსნილი ნებიმიერი ფორმით მოცემული საზოგადოებრივი ურთიერთკავშირები. თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ ყველაფერი, რაც სახელმწიფოს მიღმაა, არის სამოქალაქო საზოგადოება, მაშინ ისეთი დაყოფაც შეიძლება მივიღოთ, როგორიც ბატონმა ვასილ კობახიძემ ახსენა: სამოქალაქოებისა და სამხედროების შესახებ. ამ შემთხვევაში ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებას თავის თვისობრივი განზომილებებით, ნიშნებით ტვირთავს, გაქრა. სამოქალაქო საზოგადოების, როგორც სივრცის, ერთ-ერთი ფუნქცია განხილვისა და მსჯელობის სივრცის შეკვრაა. მედია არის ადგილი, რომელიც წაახალისებს მსჯელობას და მას სამოქალაქოდ გახდის იმდენად, რამდენადაც მრავალფეროვნებას აძლევს გზას. საზოგადოება მართლა ვერ გაერკვა, რას გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოება. იმის თქმა, რომ თანხმობა უნდა იყოს ერთი იდეოლოგიური ღერძის თუ იდენტობაზე აგებული ღირებულებითი სისტემის ირგვლივ, ბევრ რამეს გამორიცხავს.

**ლელა გაფრინდაშვილი** – ასეთი თეორეტიზაცია, ჩემი აზრით, არ არის საჭირო. მედიამ, როგორც სერიოზულმა და გავლენიანმა ძალამ, უნდა წაახალისოს სამოქალაქო ინიციატივები; თუმცა რის სტიმულირებას ახდენს იგი დღეს საქართველოში, ამაზე ლაპარაკიც არ მსურს. ჩვენ ვლაპარაკობთ არასამთავრობო სექტორზე, რომელსაც მესამე სექტორსაც ეძახიან. გავლენის თვალსაზრისით, მას უნდა ჰქონდეს საზოგადოებაში თავისი ადგილი და თავისი გავლენა. მედიის წარმომადგენლები ყოველთვის ამბობენ, რომ აშუქებენ ისეთ თემებს, რაზეც საზოგადოებას აქვს მოთხოვნილება. თუ გადაცემა არის რეიტინგული, ის არ დაიხურება, თუ არ არის - იხურება. ქართულ საზოგადოებას არ აინტერესებს ინტელექტუალური გადაცემები, მოთხოვნილებაა შოუზე და ჩვენც ვაჩვენებთ ამას. საამისოდ მე მაქვს ასეთი არგუმენტი: ყველა არხზე რომ პორნოგრაფიული ფილმები გავუშვათ, ექნება თუ არა ამ არხებს რეიტინგი? მთელი საქართველო მიუსხდება ეკრანებს, მაგრამ ამიტომ უნდა გავუშვათ? მედიის არგუმენტი იმის შესახებ, რომ ისინი საზოგადოების მოთხოვნილებას ითვალისწინებენ, არაპროფესიონალიზმისა და ჩამორჩენილობის მაჩვენებელია; რადგან ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა შექმნას სოციალური და სამოქალაქო პროტესტის კულტურა, ასევე, მედიამაც უნდა შექმნას ამ თემების მოსმენის კულტურა. მაგრამ ეს ყველაფერი მედიის წარმომადგენლებისგან მოითხოვს შრომას და პასუხისმგებლობას.

კიდევ ერთი საკითხი: თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების დამცველი ორგანიზაციები აპროტესტებენ ქსენოფობიურ გამოთქმებს თუ გამოსვლებს ამ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან დაკავშირებით, არ არის სავალდებულო, შეეკრან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და მასთან ერთად გამოთქვან პროტესტი; უკეთესია, პროტესტი სხვა სოციალურ ჯგუფებთან კოლაბორაციის გზით გამოთქვან.

**ლიკა ნადარაია, საქართველოს პარლამენტის გენდერული კომისია** – ისეთ დაქვემდებარებულ და სუსტ ქვეყანაში, სადაც შემოდის ამ რაოდენობის უცხოური კაპიტალი, რომლის წილიც ძალიან დიდია მის ფორმირებაში, არ შეიძლება სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების პრობლემა დავტოვოთ ამ კაპიტალის განხილვის გარეშე. პაატამ კომუნიკაციის პრობლემა ახსენა. ეს არ არის კომუნიკაციის პრობლემა, ეს ძალაუფლების, მართვისა და ძალაუფლების განაწილების პრობლემაა, რომელიც ფუნდამენტურია, ისევე როგორც სხვა დანარჩენი.

**ირაკლი ვაჭარაძე, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი** – ბუნებრივია, ჩვენ ვერ ავცდით ფუნდამენტალიზმის პრობლემას. ძალიან კარგია, რომ მოგვიწია საუბარი თვითონ ტერმინის განსაზღვრებაზე. როდესაც ბატონმა გიგიმ სამოქალაქო საზოგადოების საკუთარი განსაზღვრება შემოგვთავაზა, მომეჩვენა, რომ დამსწრე საზოგადოების აზრი გაიყო. ცოტა არ იყოს, შემეშინდა აქ წარმოდგენილი იმ ტენდენციების გამო, რომლებიც იკვეთება საქართველოში. არ ვისურვებდი, ყოფილიყო განსაზღვრება, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ჩვენ ვართ იმ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, რომლის ძირითადი ნაწილი მრევლთან ასოცირდება. თითქოს ზეწოლა ხდება, თითქოს მართლმადიდებელი უნდა გულისხმობდეს ჰომოფობს, ქსენოფობს, ნაციონალისტს. თუ ეს მართლაც ასეა, თუ ასე ძლიერია ეს ტენდენცია, მაშინ რა არის ჩვენი არჩევანი?

**ეკა აღდგომელაშვილი, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი** – სოზარ სუბართან დაკავშირებით მე პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. ის, რომ სოზარმა ეს თემა თავის მოხსენებაში, მხოლოდ იმიტომ არ შეიტანა, რომ არაპოპულარული თემაა, არ ვიცი, როგორ შეიძლება აიხსნას. მეც ხომ ვარ ამ საზოგადოების წევრი და გარკვეული ფასეულობების მატარებელი ადამიანი; მსურს, ერთი ადამიანი მაინც იყოს მათ შორის ისეთი, ვისაც ვხედავ დღეს ეკრანზე, რომელსაც ამ ფასეულობების ხმამაღლა თქმის არ შეეშინდება.

დაახლოებით ორი თვის წინ ამ დარბაზში, როდესაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე იყო საუბარი, ბატონმა დავით დარჩიაშვილმა თქვა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლისგან ძალიან ბევრს ვითხოვთ, მაშინ როდესაც უნდა ვიცოდეთ, რომ მასზე გავლენას ახდენს საპატრიარქო; უფრო სწორად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ანგარიში უნდა გაუწიოს საპატრიარქოს და იქ არსებულ მოლოდინებს. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ უნდა აშუქებდეს თემებს, რომლებიც არ უკავშირდება უმრავლესობას და არ არის ქვეყანაში მაინცდამაინც პოპულარული, თუ ამის მიხედვით უნდა ადგენდეს ომბუდსმენი თავის ანგარიშს, ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკოსები ამ პრინციპით მოქმედებენ, მაშინ რა აზრი აქვს ჩვენს საუბარს.

**გიგი თევზაძე** – კარგია, რომ ისევ დავუბრუნდით სამოქალაქო საზოგადოების არჩევანის თემას. მალხაზ სალდაძეს ვერ დავეთანხმები, იმიტომ რომ სამოქალაქო საზოგადოება არ არის ანგლოზთა ერთობა. იმისათვის, რაზეც ის საუბრობდა, სოციალურ მეცნიერებაში არსებობს სხვა ტერმინები, ისეთი, როგორიცაა სოციალური

კაპიტალი და სხვ. რაც შეეხება არჩევანს, იგი სწორედ ის არის, რაზეც ახლა თქვენ საუბრობდით. პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნებიან ორიენტირებულნი იმათზე, ვისაც თავისი პოზიცია მკვეთრად აქვს განსაზღვრული და ჩამოყალიბებული და, შესაბამისად, არასოდეს არ იქნებიან ორიენტირებულნი იმ სამოქალაქო საზოგადოებაზე, რომელიც არ ცდილობს პროტესტის გამოხატვას, იკრიბება ასეთი ტიპის აუდიტორიებში და იქ ამბობს თავის სათქმელს. არასამთავრობო ორგანიზაციების პროტესტი - ჩამოყალიბებული, იდენტობა კი - განსაზღვრული უნდა იყოს. ამ არჩევანის წინაშე ვდგავართ. ჩვენი საზოგადოება განვითარდება ისე, როგორც ვითარდება, ანუ, არ განვითარდება და იქნება ისეთი, როგორიც არის. შესაბამისად, პოლიტიკოსებიც ისეთები იქნებიან, როგორებიც არიან. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ერთ წრეში ვიტრიალებთ, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების ის ნაწილი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, არ გამოხატავს თავის რეაქციას. სხვა არჩევანი ჩვენ არ გვაქვს.

**ლელა გაფრინდაშვილი** – სახალხო დამცველზე მეც მსურს საუბარი. ჩემს მოხსენებაში ამ თემასაც ვეხებოდი. საქართველოში ომბუდსმენის ოფისის გახსნაც მახსოვს და ომბუდსმენის კანონის მიღებაც. ვისაც წაკითხული აქვს ეს კანონი, იცის, რომ ომბუდსმენი პოლიტიკოსი არ არის. ძალიან მინდოდა სოზარ სუბარისთვის საკუთარი დაკვირვების გაზიარება.

საინტერესოა, გავაანალიზოთ ომბუდსმენების ყველა ის ანგარიში, რომელიც კი გაკეთებულა პარლამენტში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ პირველი ომბუდსმენის - დავით სარალიძის ანგარიში სოციალური პოლიფონიის თვალსაზრისით უფრო საინტერესოა: ცალ-ცალკეა გამოყოფილი ქალთა, ინვალიდთა უფლებები, პროფესიული კავშირები და ა.შ. მაგრამ ყველა შემდეგ ანგარიშში ეს ჯგუფები თანდათან ვიწროვდება. სოზარ სუბარის ანგარიშებში აქცენტი კეთდება პოლიტიკურად უფრო ანგაჟირებულ თემებზე, ვიდრე სოციალური ჯგუფების ინტერესებზე. ჩემი აზრით, ეს არის სერიოზული პრობლემა ქართული სამოქალაქო საზოგადოებისათვის. სხვა საკითხია, რატომ ხდებოდა ეს, სალარიძე იყო ტოლერანტული სხვადასხვა ჯგუფების მიმართ თუ პირიქით, მის ინდიფერენტულობაზე მეტყველებს; მე მხოლოდ ფაქტებს გაცნობთ. რაც შეეხება ნანა დევდარიანის პერიოდს, ომბუდსმენის ოფისი გადაიქცა „ლავკად“, სადაც მიმდინარეობდა ვაჭრობა იმაზე, რამდენს გადაიხდიდი დარბაზის ქირაში. მაგრამ სოზარის პერიოდი, ჩემი აზრით, უფრო მძიმეა, იმიტომ, რომ ასეთი ტიპის შეხვედრები საერთოდ აღარ იმართება. ეს ოფისი ჩაკეტილი გახდა და დისკუსიების რიცხვმაც იკლო. ეს აისახა ომბუდსმენის ანგარიშებშიც. პოლიფონიურობის ხარისხი ძალიან შევიწროვებულია. მეორე საკითხია, რომ გენდერული პრობლემატიკა აბსოლუტურად ამოღებულია, მაშინ როცა ყველა წინა ომბუდსმენს ჰყავდა რწმუნებული ამ საკითხში. დღეს ეს საკითხი აღარ დგება.

**კობა ჩოფლიანი, სახალხო დაცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორი** – ძალიან მაინტერესებს ამ დარბაზში რამდენ ადამიანს აქვს წაკითხული ომბუდსმენის ანგარიშები, ან რომელმა თქვენგანმა მიმართა რაიმე პრობლემასთან დაკავშირებით ომბუდსმენის აპარატს და რა რეაგირება მოჰყვა მას.

**პაატა საბელაშვილი, ფონდი „ინკლუზივი“** – როდესაც სექსუალურ უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები პირველად ჩამოვიდნენ საქართველოში ამ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შესასწავლად, ომბუდსმენმა განაცხადა, რომ არ ეცალა შეხვედრისთვის და გვთხოვა ტოლერანტობის საკითხებზე მომუშავე პიროვნებას

შევხვედროდით. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ არც მას ეცალა ჩვენთან შესახვედრად. ბოლო მომენტში ქალთა უფლებებზე მომუშავე ადამიანი შეგვხვდა, რომელმაც ბევრი არაფერი იცოდა საქართველოში სექსუალურ უმცირესობათა მდგომარეობის შესახებ. ცოტა ხანში ინტერვიუებში გამოჩნდა ჰომოფობიური ფონი და დამოკიდებულება. ომბუდსმენი მიიჩნევს, რომ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების სამოქალაქო თანასწორობა არ არის ის ფასეულობა, რომლის გაზიარების ვალდებულებაც მას აქვს. ეს დოკუმენტირებულია ჩვენს მოხსენებაში. ეს ინტერვიუ ტელევიზიით გადაიცა. მას შემდეგ, რაც სოზარ სუბარმა ჩვენს ანგარიშზე დაყრდნობით მიიღო ევროპიდან წერილი, რომ არ შეშვენოდა ასეთი დამოკიდებულება, ომბუდსმენმა ჩვენთან შესახვედრად გამოგზავნა ქეთი ხიზანიშვილი, რის შემდეგაც ჩართო ეს საკითხი ანგარიშში, თუმცა საბოლოო ვერსიაში იგი მაინც არ მოხვედრილა.

**დათო პაიჭაძე** – დიდი მადლობა, დისკუსია დასრულებულია.